



## სამუშაო შეხვედრა აჭარაში

2015 წლის 21 მარტი, ბათუმი

### სესია „შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები“

#### მოდერატორები :

ირინე საგანელიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

შორენა ციცაგი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელი

#### მონაწილეები :

ლაშა ფალავანდიშვილი, ა.ა.ი.პ თანამედროვე ხელოვნების სივრცე, PR მენეჯერი (ბათუმი)

თამარ შაშიკაძე, კულტურული პროექტების მენეჯერი, ფსიქოთერაპევტი (ბათუმი)

ლევან ხუჯაძე, ა.ა.ი.პ Micro-ფონი, თავმჯდომარე (ბათუმი)

ლევან გელიაშვილი, შპს Eredeli's Art, დირექტორი

ნინო ანთიძე, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის აპარატის უფროსი სპეციალისტი, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს კულტურის კომისიის სპეციალისტი

მაკა ცენტერაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი

შორენა ფალავა, ხელვაჩაურის გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი

მადონა დავითაძე, ხელვაჩაურის გამგეობა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი

რუსუდან კარანაძე, ა.ა.ი.პ. ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორი

ლამზირა აფაქიძე, ა.ა.ი.პ. ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი, სამხატვრო ხელმძღვანელი.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები ბათუმიდან, ქობულეთიდან, ხელვაჩაურიდან. კულტურის სფეროს ძირითად პრობლემად დაფიქსირდა ბიუჯეტის სიმწირე და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების არარსებობა; სახელმწიფოს მხრიდან კულტურული პროექტების დაფინანსებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საჭიროება; კულტურული ღონისძიებების ტელევიზიით რეკლამირების საკანონმდებლო ხარვეზები; საზოგადოების მხრიდან კულტურის მიმართ ინტერესის გამოვლენის ნაკლებობა.

## აჭარის რეგიონში კულტურის სფეროში გამოვლენილი ძირითადი პრობლემები :

### დაფინანსება :

- კულტურის სფეროს დაფინანსების სიმწირე და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების არარსებობა
- დაფინანსების სისტემური პრობლემა; კულტურის სფეროს დარგობრივი დაფინანსებისას პრიორიტეტების განსაზღვრის საჭიროება
- კულტურული ძეგლების მოვლა-შენარჩუნების მეთოდოლოგიის არარსებობა
- ბიზნეს-სექტორის ჩართულობის დეფიციტი კულტურის სფეროში

### ინფრასტრუქტურა :

- მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ხელს უშლის ტრადიციული ხალხური რენვის განვითარებას
- მოშლილი ინფრასტრუქტურა და გაუმართავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აფერხებს რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარებას

### განათლება :

- სუსტი მენეჯმენტი და არაკვალიფიციური კადრები
- პროფესიული განათლების პროგრამების სიმცირე; თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა
- რაოდენობაზე, და არა ხარისხზე, ორიენტირებული პროექტების განხორციელება
- ქალაქგეგმარების სისუსტე/არარსებობა
- აუდიტორიის არასათანადო განვითარება; მაყურებლის/მსმენელის/დამთვალიერებლის მოტივაციისა და ინტერესის ნაკლებობა კულტურული პროცესების მიმართ

### კანონმდებლობა:

- კულტურის ღონისძიებების ტელევიზიებით რეკლამირების დეფიციტი

### კომუნიკაციის პრობლემა :

- სუსტი კომუნიკაცია ადმინისტრაციულ ერთეულებსა და კულტურულ ობიექტებს შორის, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დონეებზე

**განსახორციელებელ ქმედებებად განისაზღვრა :**

- შესაბამისი რეგულაციები და ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოსაძიებლად, ინვესტიციების მოსაზიდად და ბიზნესის ხელშესაწყობად
- ელექტრონულ მედია-საშუალებებთან მეტი წვდომა
- კადრების პროფესიული გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, მასტერ-კლასების ჩატარება
- პროფესიული განათლების ხელშეწყობა
- კულტურის როლის ამაღლება საზოგადოებრივ ცნობიერებაში.